



11 თებერვალს, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ნატოს საინფორმაციო კუთხე გაიხსნა. საინფორმაციო კუთხე გახსნეს უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ჯონი აფაქიძემ და ნატოს საინფორმაციო ცენტრის დირექტორმა თენგიზ გოგოტიშვილმა, რის შემდეგაც უნივერსიტეტში სტუდენტებისთვის ლექცია გაიმართა.

ამ ღონისძიებას ესწრებოდნენ ნატოს მეკავშირე ოფიცერი სამხრეთ კავკასიაში, ზბიგნევ რიბაცკი, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე ელენე ხოშტარია, ნატოს საერთაშორისო სამსახურის სახალხო დიპლომატიის განყოფილების კოორდინატორი კავკასიაში დესპინა აფენტული და ლატვიის საელჩოს მეორე მდივანი რაიმონდს ვინგრისი.